ურთიერთთანამშრომლობის
მემორანდუმი
სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტსა
და
სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტს
შორის

ქ. ბათუმი 6 ივნისი, 2012 წ.

ერთი მხრივ, სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, წარმოდგენილი რექტორის, პროფესორ ალიოშა ბაკურიძის სახით, და მეორე მხრივ, სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი, წარმოდგენილი რექტორის, პროფესორ ერმილე მესხიას სახით, შემდგომში წოდებულნი "მხარეებად", ურთიერთობის დამყარებისა და განვითარების მიზნით და ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით აკადემიური და სამეცნიერო თანამშრომლობის სფეროში, თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1. პრიორიტეტული მიმართულებები

1. ერთობლივი სამეცნიერო კვლევების, პუბლიკაციებისა და სამეცნიერო ღონისძიებების შემუშავება-განხორციელება და შედეგების აღიარება;
2. ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება-განხორციელება და შედეგების აღიარება;
3. აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ურთიერთგაცვლითი პროგრამების შემუშავება-განხორციელება;
4. სწავლების პერიოდებისა და აკადემიური ხარისხების აღიარება;
5. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის სრულყოფა;
6. საბიბლიოთეკო ფონდების ურთიერთსარგებლობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

მუხლი 2. ერთობლივი სამეცნიერო კვლევები, პუბლიკაციები, ღონისძიებები

1. მხარეები ხელს შეუწყობენ ერთობლივი სამეცნიერო კვლევების განხორციელებას;
2. მხარეები გაცვლიან ინფორმაციას მათთან დაგეგმილი სამეცნიერო და სამეცნიერო-მეთოდური კონფერენციების, სემინარების, ტრენინგების და სხვა ღონისძიებების შესახებ და ხელს შეუწყობენ პარტნიორი მხარის წარმომადგენელთა მონაწილეობას ამ ღონისძიებებში;
3. მხარეები იზრუნებენ ერთობლივი სამეცნიერო ღონისძიებების (კონფერენცია, სემინარი, საზაფხულო სკოლა) აგრეთვე ერთობლივი

სამეცნიერო-კვლევითი და შემოქმედებითი პროექტების რეგულარულად განხორციელებაზე;

4. სამეცნიერო სტატიები, ანგარიშები და კვლევების შედეგები ერთ-ერთი მხარის ბეჭდვით ორგანოში პუბლიკაციას ექვემდებარება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;
5. მხარეები ერთობლივად იზრუნებენ საგრანტო პროგრამების მოძიებასა და საგრანტო კონკურსებში ერთობლივ მონაწილეობაზე .

მუხლი 3. ერთობლივი აკადემიური საქმიანობა

1. მხარეები იზრუნებენ რათა შემუშავებულ და რეალიზებულ იქნეს ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამები ბაკალავრიატისა და მაგისტრატურისა საფეხურების სწავლების მიმართულებების მიხედვით;
2. მხარეები ურთიერთშეთანხმებული პრინციპებით შეადგენენ კურიკულუმებს, ზოგადსაუნივერსიტეტო სასწავლო მოდულებს;
3. მხარეები ითანამშრომლობენ აკადემიური და მასწავლებელთა პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით.

მუხლი 4. ხელშეკრულების მოქმედებისა და ძალაში შესვლის პირობები

1. ხელშეკრულება იდება განუსაზღვრელი ვადით;
2. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ მისი ხელმოწერის დღიდან.
3. ხელშეკრულების შეწყვეტა შესაძლებელია ერთ- ერთი მხარის ინიციატივით.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქ. ბათუმი, ე. ნინოშვილის ქ. 35
რექტორი, პროფესორი
ალიოშა ბაკურიძე

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი
ქ. ბათუმი, ფიროსმანის ქ. 16
რექტორი, პროფესორი
ერმილე მესხია

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

2012 წლის 06 ივნისის

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის

დამატება

ქ. ბათუმი 27 სექტემბერი 2012 წ

მუხლი 3. პუნქტი 4

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში სტუდენტს შეუძლია მობილობის წესითა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ დადგენილი პირობებით სწავლა გააგრძელოს შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის იგივე ან მონათესავე საგანმანათლებლო პროგრამაზე.

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ა. ბაკურიძე

245428158

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო
უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ე. მესხია

245628496